პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 290 (18532) კვირა, 19 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

გაანვამგკიცოთ შრომის დისციპლინა, ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი წუთი!

ამჟამად ჩვენი ეკონომიკური ზრდის მთავარი მიმართულებაა, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, — მნიშვნელოვნად ავაძაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, პლენუმის გადწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა განვამტკიცოთ სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა წარმოების თითოეულ უბანზე, მართვის ყველა სფეროში, ავამაღლოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა აღნიშნა, რომ ხუთწლედის მეორე წლისა და მთლიანად ხუთწლედისთვის განსაზღვრული ზრდის მოცულობის მიღწევა ხელეწოფება ყველა კოლექტივს. ამ მისაღწევად კი უნდა დავძაბოთ ძალები, გაოდვაექმნათ უმოკლეს დროში, მაქსიმალურად შევამციროთ მატერიალური და შრომითი დანახარჯები პროდუქციის გამოშვებისათვის. ნამორჩენილთა დაწინაურებლ დაგვეხმარება მიზანდასახული და უკომპრომისო ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. სამეურნეო დროის ცვლისშედეგ დანაკარგების ლიკვიდაცია, კადრების დენადობის შემცირება. უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ თბილისის საავიაციო ქარხნის გამოცდილება, რომელიც იბრძვის დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში საუკეთესოს ჭოდების მოპოვებისათვის.

ამ საწარმოს წარმატებანი საყოველთაოოდ არის ცნობილი. შეჯიბრებებში დევნიზი „საუკეთესო დარგში, საუკეთესო რესპუბლიკაში“ ქარხნის კოლექტივს მივდინარე წლის ოთხივე კვარტალის მანძილზე საპრიზო ადგილები ენიშებოდა დარგში, ხოლო წლის პირველი ნახევრის შუშაობის შედეგებით იგი დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომით.

მოწინავე მუშებს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ტ. როსტიაშვილს, შ. ლოხვიშვილს, თ. ბარიგიზს, ვ. წოკლაურს, თ. ტაბატაძეს, მ. გეთიაშვილს, ზ. გაგიეს, მ. ბლუდიანს, ი. ეგნატოიძეს, ე. გოგეშაძეს, ც. ნაცვლიშვილსა და სხვებს — კარგად იცნობენ რესპუბლიკაში. მათ არაერთხელ გამოუჩენიათ სანნტერესო ინიციატივა, დიდნაყოფიერი შრომით ეგებებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. მეგრმა მთელმანმა სამშობლოს უკვატაკა წლის დავალებათა ვადამდე შესრულება, შრომობს ხუთწლედის მესამე წლის ანგარიშში

18 ნოემბერი. დიდძალი ხალხი შეიკრიბა ქარხნის ძირითად საამქროებში. ეს-ეს არის დამთავრდა შაბათობა. მან ცხადყო ინიციატივებისა მისწრაფება — უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სამუშაო ცვლის თითოეული საათი, სამუშაო დროის თითოეული წუთი. ყველა კარგ გუნებაზეა. მუშებმა იციან: მათი შრომა ერწყმის რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის შრომას. მუშებმა იციან: მათ უნდა ამრავლონ სამშობლოს სიმდიდრე, განამტკიცონ მისი ძლიერება.

შაბათობა დამთავრდა, მაგრამ მუშები არ იშლებიან. ისინი შეიკრიბნენ საამქროებში, რათა ეთქვათ: მიღწეულს არ დავჯერდებით. წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლება, ახალი ტექნიკის, მაწინავეგი ტექნოლოგიის დანერგვა თვისებრივად ახალ მოთხოვნებს აყენებს.

და მუშებმაც ეს მთელი სიმტკიცით განაცხადეს თავიანთ კრებებზე, რომლებიც ამ დღეს გაიმართა.

კრებებზე გამოვიდნენ ზენინკალთა ბრიგადიერი ვ. კუბლაშვილი, ზეინკალი გ. ყუნუა, მოარავი ა. ამიროვი, ამწყობი ზეინკლები თ. ტაბატაძე, ზ. ოთარაშვილი, გ. ინასარიძე და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე გასუზომლად იზრდება ზარალი შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის გამო. ორგანიზებულობისა და წესრიგის შესუტება, სამეშაო ადგილზე ზუტი რიტმის ჩაშლა შეიძლება დიდ დანაკარგებად დაუჯდეს საამქროსა და ქარხანას საბოლოო ანგარიშით კი მთელ დარგს.

ამოცანა ის არის, ითქვა კრებებზე, რომ გავზარდოთ პროდუქციის წარმოება და გავაუმჯობესოთ ხარისხი საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრული და რაციონალური გამოყენების, მოწყობილობის განახლების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გზით. ამ პირობებში მეტად საჭიროა ყაირათიანად ეკონომიზებდეთ სამუშაო დროის თითოეულ წუთს, ყოველ გრამ ლითონსა და სათობს. ძალებისა და სახსრების დანახარჯები უნდა შევუსაბამოთ მიღებულ შედეგებს, მივაღწიოთ მეურნეობაში დაბანდებული თითოეული მანეთის მაქსიმალურ უკუგებას.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომუნისტები, ყველა მშრომელ, რომლებიც განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის, საქართველოს ცენტრალური კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის შედეგებს, ითქვა კრებებზე, მთელი ყურადღებას აპყრობენ სამეურნეო პოლიტიკის პრინციპულ საკითხებს, ეკონომიკის განვითარების ძირეულ პრობლემებს. ისინი ეძებენ წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზებს,

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მეგობრობის დაუვიწყარი დღეები

16 დეკემბერს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩვენი რესპუბლიკის დღეების მონაწილე საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები მოსკოვის სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში.

საქართველოს წარმომადგენლებს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. მან ალალი შეფასება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მიღწევათა საიუბილეო დათვალიერებას, რომელიც ქვეყნის მთავარ გამოფენაზე ეწყობა.

მოსკოველებს, დედაქალაქის სტუმრებს, თქვა მან, შესანიშნავი საშუალება მიეცათ თვალნათლივ ენახათ ის უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც დიად კავშირად გაერთიანებულ რესპუბლიკებში მოხდა. თითოეული ეს ინგარიში ხალხთა ლენინური მეგობრობის, ინტერნაციონალური მრობის შთამბეჭდავ დღესასწაულად იქცეოდა.

ვიცი, თქვა შემდეგ ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები მაღალ დონეზე მიმდინარეობს.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომში უკვე გაესაუბრნენ ქალაქის დღევანდელი დღისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ამბოლმ შეეფინა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მთავარ მიმართულებებს.

მოსკოვის 1150 სამრეწველო საწარმოდან დღეს არც ერთი არ ჩამორჩენა. და ამაში უშუალო დამსახურება მიეძღვით კომუნისტებს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის კარგ ინიციატივათა თაოსნები არიან. 300 ათასი კილომეტრი კაპიტალური რემონტის გარეშე—ასეთია „მთავარმოსკოვგატტორანსის“ კოლექტივის ძმღოლთა თაოსნობა. სანიმუშო კომუნისტური ქალაქის მშენებლის მორალური კოდექსი მოქმედებს მოსკოვის ბევრ რაიონში. საქმით უასუხებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დედაქალაქის ასობით სამრეწველო საწარმოს პარტიული ორგანიზაციები აჩაღებენ მოძრაობას დისციპლინის, მარილწესრიგის განმტკიცებისათვის.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია მშრომელებს რაზმავს ინიციატივებს, რომ დაუცხრომლად ებრძოლ რეზერვები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს ეკონომიკური მიზანებების გაუჯობესებას, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. ერთ-ერთი ასეთი რეზერვი წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცება.

ბევრი შესაძლებლობა აქვს ქალაქის ინდუსტრიას სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეშიც. და დედაქალაქის ოცდათორმეტივე რაიონული პარტორგანიზაცია შრომითი კოლექტივების მეცადინეობას წარმართავს მათი მაქსიმალური გამოყენებისათვის. ამოცანა კონკრეტულად არის განსაზღვრული: სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობების გამოშვების გადიდებასთან ერთად თითოეულ წარმოებას უნდა ჭქონდეს თავისი დამხმარე მეურნეობა და ამით ყოველნირად უწყობდეს ხელს ამ პროგრამის შესრულებას.

მოსკოვი ინტერნაციონალური ქალაქია, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა. ჩვენი ქვეყნის 110 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ და შრომობენ ამ ერთიან ოჯახად. მათ შორის 12 ათასზე მეტი ქართველია. საქართველოს 3,5 ათასი ქალიშვილი და ბიბეკი მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია.

დასასრულ ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა დელეგაციის წევრებსა და მათი სახით საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს უსურვა ახალი დიდი წარმატებანი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. ენუქიძემ მხურვალე მადლობა გადუხადა ამხანაგ ვ. ვ. გრიშინს ხუთთაოდი მიღებისა და ყურადღებისათვის, რომელსაც მოსკოველები იჩენენ რესპუბლიკის წარმომადგენლებისადმი.

დელეგაციის სახელით გ. ნ. ენუქიძემ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს ძღვნად მიართვა სამაისტროო საჩუქარი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო მხატვრის ე. ამაშუკელის ნახელავი ქანდაკება.

ამხანაგმა ვ. ვ. გრიშინმა საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციას მიართვა სუფთათი, რომელზეც აღბეჭდილია მოსკოვის კრემლი, დედაქალაქის ხედებიანი ლამაზი ალბომები.

მიღებაზე იყვნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. თ. დემენტიევა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ბ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. პოლომარიოვი, ა. მ. როგანოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგე ვ. ტ. პოლუნინი. (საქინფორმი).

თავისუფალი შრომის ზეიმი

გუშინ, კომუნისტურ შაბათობაზე

თბილისი

18 დეკემბერს ზუსტად დილის რვა საათზე ამიერკავკასიის უძველეს თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში საყვირი ახმიანდა. საწარმოს შესასვლელთან კვარცხლბეკზე დადგმულმა ვეტერანმა ორთქლმავალმა აუწყა მუშებს რესპუბლიკის დედაქალაქში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობის დაწყება.

1800 კაცი დადგა საყვირის ხმაზე თავის საშუალო ადგილებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ელმავლების შეკეთებაში, ქარხნის რეკონსტრუქციაში, რომელსაც გაისად 100 წელი უსრულდება.

ამ დღეს ჩინებულად მარტო ელექტროვაგონშემკეთებლებმა რიდი აშრომეს. საზეიმოდ გამოიყურებოდა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საამქროები. წითელი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით, სამუშაო სპეცტანსაცმელზე მაფთებით გამოვიდნენ მუშები.

თავისთავად მეტყველებს კერამიკული კომბინატის შესასვლელთან წარწერილი მოწოდება: „ჩვენი ქარხნისათვის სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის სახელის მინიჭება გვავალებს ვიმუშაოთ მაღალნაყოფიერად და ეფექტიანად!“. საქმით უპასუხეს ამ მოწოდებს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა.

საწარმოს მთელმა კოლექტივმა ამ დღეს იმუშავა მომავალი წლის ანგარიშში.

სულ თბილისში კომუნისტურ შაბათობაზე, წინასწარი მონაცემებით, მონაწილეობდა 570 ათასზე მეტი კაცი, დაშაადდა 10 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაზე ენერგიულად იშრომა თბილისის ქარხანა „იდრომეტალსაწყოს“ კოლექტივმა. აქ მიაღწიეს შრომის დიდ ნაყოფიერებას და ათი ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. ხუთწლედის ფონდში კი 320 მანეთი გადარიცხეს.

სურათზე: თქვენ ხედავთ ელექტროსამონტაჟო უბნის ერთ-ერთ კუთხეს.

ვ. ბენგიშვილის ფოტო.



18 დეკემბერი ერთსულოვანი დარაზმულობითა და დიდი შრომის ნაყოფიერებით აღინიშნა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კოლექტივმა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობდა გაერთიანებაში მოიმუშავე 3685 კაცი, აქედან 2.840 მუშა-მოხამსახურე თავის სამუშაო უბანზე იყო დასაქმებული. შესრულდა 200 ათასი მანეთის სამუშაოები

ს. კილაძის ფოტო.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა — ეს ერთ-ერთი ფუძემდებელი საფუძველია ჩვენ ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა, ეროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა, ეროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა,

განვამგკიცოთ შრომის დისციპლინა, ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი წუთი!

(დასასრული)

იბრძვიან მიმდინარე წლის გეგმისა და მთლიანად ხუთწლეულის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს, თქვეს კრებების მონაწილეებმა, წარმოების ორგანიზაცია, დაგეგმვა და თითოეული მუშაკისთვის გეგმების გაცნობა, მოვაწყოს ქმედითი შეკიბრება შემხვედრი გეგმების შეშუშავებისა და მიღებისათვის, ახლებურად უნდა მივუდგეთ მუშაობის ეკონომიკური მარეგულირებლების შეფასებას, ძკვეთრად გავუთმაჯნესთ პროდუქციის, კერძოდ, სახლოსო მოსახერების. საგნების ხარისხი, გამოვსახოთ და დავნერგოთ შრომის სტიმულირების ახალი ფორმები, სრულყოთ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმეზი.

„საკითხია შეკმნილი ისეთი პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული — რომლებიც სტიმულს მიხცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, თაოსნობას. — აღნიშნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესაბამისად ორგანიზებულობის შემდგომი ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე გამართულმა კრებებმა მაღალი აქტიურობისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაირა. მეტ წილ შემთხვევებში ორატორების გამოსვლებს ახასიათებდა საკითხთა ირგვლივ ინიციატივი დაყენება, კრიტიკის კონკრეტულობა, ნაკოვანებებებისადმი შეუწყნარებლობა, გაზრდილი მომთხოვნელობა. ზონა ალაზნე წამოაყენეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ახალ პირობებში მეურნეობრობის გაუმჯობესების, „რეზერვების „უფრო სრული გამოყენების, ჩამორჩენილი უბნების დაწინაურების პრობლემები. მაშასადამე, საკითხთა სოხოვა ქარხნის პარტკომის მდივანს ვ. ლოლაძეს განემარტა პირველი მუშათა კრებების შედეგები. აი, რა თქვა მან:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესაბამისად ორგანიზებულობის შემდგომი ამაღლებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე გამართულმა კრებებმა მაღალი აქტიურობისა და საქმიანობის ვითარებაში ჩაირა. ამ ბოლო შემთხვევებში ორატორების გამოსვლებს ახასიათებდა საკითხთა ირგვლივ ინიციატივი დაყენება, კრიტიკის კონკრეტულობა, ნაკოვანებებებისადმი შეუწყნარებლობა, გაზრდილი მომთხოვნელობა. ზონა ალაზნე წამოაყენეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ახალ პირობებში მეურნეობრობის გაუმჯობესების, „რეზერვების „უფრო სრული გამოყენების, ჩამორჩენილი უბნების დაწინაურების პრობლემები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სს რესპუბლიკის მეთითეებანი თითოეული ორატორის ყურადღების ცენტრში იყო. დაასახელეს სამსახურში დაგვიანებული მუშაკებისადმი, გამცდენებისადმი, „ფარნიებისადმი“, დისციპლინის სხვა დამრღვევებისადმი შემწყალებლური დამოკიდებულების ცალკეული მაგალითები. ისინი ზმირად ისეთივე სიკეთითა და შეცავთით საოგებლობენ, როგორითაც კეთილსინდისიერი მუშაკები.

კრებებზე თქვა, რომ შრომის დისციპლინის დარღვევები ზმირად ხდება ტერანსპორტის საშუალებების — ტროლეიბუსის, ავტობუსის, ტრამვაის, აგრეთვე საგარეო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ცუდი მუშაობის გამო.

საქინფორმის კორესპონდენტმა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, მაგრამ — არა სარეფერეული. როცა საქალაქო მუნიციპალის პრობლემებს შეეხო, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ალკა არათუ არ აშენებს ახალ ინდუსტრიულ საწარმოებს, არამედ ქალაქის ფარგლებს გარეთ გაიქცეს კიდეც ბევრი ქარხანა და ფაბრიკა. უახლოეს წლებში დაახლოებით ასი საწარმო დაემშვიდობება მოსკოვს, მათგან ნახევარმა უკვე გამოიცვალა მისამართი.

— ჩვენს წარმატებებს, ჩვენს საზრუნავსა და ვეგეგმებს, — თქვა დასასრულ ვ. ფ. პრომსლოვმა, — ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, მთ შორის საქართველოც იზიარებს, რომელიც მოსკოველებს უგზავნის საადრეო კარტოფელს, ბოსტნეულს, ციტრუსებს. ჩემთვის განსაკუთრებით თვალსაჩინოა თქვენი რესპუბლიკის მიღწევები. ვმონაწილეობდი მდინარე ხრამზე, აგრეთვე სოხუმის მახლობლად ელექტროსადგურების შენებლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა გ. ნ. ენუქიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა მასპინძლობისათვის, რომელიც დედაქალაქში გაუწევს რესპუბლიკის წარმომგზავნილებს, ბაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დღეები კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გახდება რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მატიანეში, რომლებიც მომავალ წელს სზეიმობ ვეთარებაში, ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ერთად აღნიშნავენ გეორგიევლის ტრაქტატის 200 წლისთავს. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებებს აღწევენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები საიუბილეო ვახტზე, როგორ აბორიეულებენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, როგორ მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, უსურვა მოსკოველ მშრომელებს შემდგომი დიდი წარმატებანი პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულებათა განხორციელებაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის სახელით გ. ნ. ენუქიძემ მოსკოვის საქალაქო საბჭოს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი. მოსკოვის საქალაქო საბჭოს სახელით ამხ. ვ. ფ. პრომსლოვმა საქართველოს დელეგაციას საჩუქრად გადასცა ლამაზად გაფორმებული ალბომი გმირ ქალაქ მოსკოვზე.

შეხვედრას დაესწრნენ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ს. ბ. კოლომინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოადგილე ვ. ვ. ბიტენოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ბ. ვ. პოკარეევსკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ჯანგირიძე, ნ. ზ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი ბ. ვ. ბოკუჩავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ნ. ზ

Здравствуй, Советская Россия!

გამარჯობა, საბჭოთა რუსეთო!

რუსეთი — ეს სიმბოლო

დარონი მეფობენო... მოვლენათა რბოლაში გავიდა ექვსი ათწლეული, მაგრამ სამეფოშიდან გვაქვს აღბეჭდილი გულში დაბადების დღე ჩვენი ერთიანი და მრავალეროვანი კავშირისა, დიდი ლენინის მიერ დაფუძნებული კავშირისა, რომლის გენია, სიბრძნე და ხასიათი ალმასის წახნაგებისებრ აკისკროვნებენ რუსი ხალხის ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებებს.

რუსეთი — ლენინიზმისა და დიდი ოქტომბრის სამშობლო, „აბეზეოეთში შემავალ რესპუბლიკათაგან უდიდესი ეროვნული, ამ კავშირში შევიდა თანასწორთა შორის თანასწორი და საქვეყნოდ წარმოიჩინა პრინციპიულად ახალი ტიპი ეროვნული პოლიტიკის ბუნებრიობა, პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენ სათაყვანო ლენინის სახელს ვუწოდებთ.

რუსეთი — ეს არის სიმბოლო ჩვენი ქვეყნისა კაცობრიობისათვის, სიმბოლო მშვიდობისა, რომელიც კაპიტალისტური მონობის ჯაჭვის გალიიდან თავდადწეულ ხალხებს ფრთას ასხამს და გამიჩაჟავს ახალი სამართლიანი საზოგადოების მშენებლობის ასპარეზზე.

ჩვენ გავუხსენით კაცობრიობას სამართლიანი ხანის გზა.

იყო ამ გზის პირველმკვლევი, საკმაოდ მძიმე ტვირთია. მაგრამ მას ჩვენთან ერთად იტვირთავენ კავშირელი ძმები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. სხვადასხვა ეროვნებისანი, მაგრამ ერთი რევოლუციური რწმენისანნი, ადამიანები, რომ შექმნეს ახალი ისტორიული ერთობა, რომელიც ატარებს მაღალსა და წმიდა სახელს — საბჭოთა ხალხი.

ა. ხუროკოვი,
პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი.

კოსმოსის მიწიერი გეოგრაფია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ფესტივალური ატმosფეროა რა, ზეცაში რომ მოისწრაფვის, საბჭოთის დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი სამმოლო გახდა. მზიან დღეს უზარმაზარი ტატნის ფურცლები, რომელთაგანაც ედიუდეტული რაკეტის სადგარი ჩანდეფი, მოსარკულ ზედაპირზე ოქროქალვენ მონუმენტის ირგვლივ, მოფრიალე მოკავშირე რესპუბლიკების ნაირფერ დროშებს. დიახ, სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახის მიერ შექმნილი სწორედ ასეთი მძლავრი საძირკვლიდან იიღო სტატი ჩვენმა ქვეყანამ კოსმოსური შორეთისაკენ.

კოსმონავტთა მზადების ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელის კაბინეტში საბჭოთა კავშირის უზეკულო რუკა ენაზე. მოსკოვის ოლქის ვარსკვლავეთა ქალაქიდან მომავალი სხვეები ამ რუკაზე ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხეში მიემართებოდა.

— ეს კოსმოსის მიწიერი გეოგრაფიაა, — თქვა ბ. ი. კლიმუკმა და შემომავიაზა რუკაზე მოგზაურობა. — დავიწყოთ ყაზახეთით. მის ძველთაძველ მიწაზე შეიქმნა ჩვენი პლანეტის პირველი კოსმოდრომი. აქედან გაიეარა იფეშალ კოსმოსში პირველი თანამგზავრი, აქედან გაფრინდა ნმერი პირველი კოსმონავტი იური გაგარინი.

ბეგიტკოდან, სადაც პლანეტის პირველი კოსმონავტი ფშვა, კიდევ ერთ კოსმოსურ ხაზს მიეყვავართ კიევის ოლქში, დაბა ჟიტომირში. აქ დაიბადა პაველ პოპოვიჩი, მოკავშირე რესპუბლიკათა პირველი წარგზავნილი კოსმოსურ ორბიტაზე.

ბაქოელ, ტაშკენტელ, აშხაბადელ სპეციალისტებთან ერთად კოსმონავტები პრაქტიკას, რათა მოემზადონ მუშაობისათვის ორბიტიდან დედამიწის რესურსების საკვლევად. ეს ტონელი გეოფიზიკოსები კონსულტაციას უწევენ ეკიპაჟებს გეოფიზიკურ ექსპერიმენტებში, ყირგიზი გლაციოლოგები ამარაგებენ მათ დედამიწის ყინულის ქუდების რუკებით. მოლდაველი მეცნიერები კი კოსმოსური სამყლის მომზადების აღიარებული ავტორიტეტები არიან.

საღამოსაწოლო დღეებში ვარსკვლავეთა ქალაქი სტუმრებს მოკავშირე რესპუბლიკათა დროშების აბრეშუმის ცისარტყელით ეგებება.

ა. ჟელეზნოვი,
(საკდესის კორ.).

მდინარე ვოლგის გაყოლებით

რუსეთის დიდ მდინარეს უწოდებენ ვოლგას. და არა მარტო იმიტომ, რომ ის ევროპის უდიდესი და მოფლოის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მდინარეა — მისი სიგრძე 3.530 კილომეტრია! რიფორის ლაშქრობაზე“. ოდნავ მოშორებით მოჩანს იოანეს ტაძრის ნატიფი სილუეტი — ძველრუსული ხუროთმოძღვრების სიამაყე.

ნაკრძალი ზონის სილამაზე და ელფერი არ დაურღვევია მაღლივ ახალშენებთა უბნეს, სამრეწველო გიგანტების — გაერთიანება „ავტოდიზელისა“ და „დიზელკაბაკუტრის“, სალტის, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების კოლრუსებს. სიძველისა და დღევანდელობის ორგანული შეხამება განსაკუთრებულ ბრწყინვალებას ანიჭებს ბაროსლავლს.

ოქტომბრის ბელადის სამშობლოში

ულიანოვსკი. ულიანოვსკელ მთავარ ქუჩებს ამშვენებს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეროვნულ ტახსაცმელში გამოწყობილი ადამიანთა ნაკადი. სსრ კავშირის 60 წლისთავის წელს ვ. ი. ლენინის შობადიერ ქალაქს ტურისტთა რეკორდული რიცხვი — დაახლოებით მილიონი კაცი ეწვია.

ყვავილებით მიდიან და ცოცხალ მდინარესავით თავს იყრიან ისინი იქ, სადაც დიდებული მემორიალის თაღებქვეშ დგას პატარა სახლი, რომლის პარმაღლის ზეები ამშვენებს. მის კედელზე ამოკვეთილია შთამბეჭდავი სიტყვები. „ამ სახლში 1870 წლის 10-22 აპრილს დაბადდა ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი (ლენინი)“.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალის ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ ტურისტები შედიან სახლში, სადაც ულიანოვების ოჯახი ცხოვრობდა 1870-1875 წლებში. აქ ახლახან დამთავრდა აღდგენითი სამუშაოები. ღია ცისქვეშ მუზეუმად იქცევა მაღე მთელი ლენინის ქუჩა.

გვერდით კი იზრდება და ლამაზდება ახალი თანამედროვე ქალაქი, რომელიც ბელადის ღირსეული ძეგლი გახდა. ულიანოვსკი მსგავილი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ ამბავდებენ მსოფლიოში უდიდეს საღარაგ ჩარხებს, უკეთესგანმავალ ავტომობილებს, ზეზესტ ხელსაწყოებს.

გაქაცაცობისა და დიდების მიჯნეები

ვოლგოგრადი. მამაის ყორღანს ვაქაცობის მაღლობის დიდება მოუტანა სტალინგრადის ბრძოლის ჯარისაკცთა ემრონმ. მათი ემრობის აღსანიშნავად ამ ცეცხლოვან მიწაზე აღმართულია დიდებული ძეგლ-ანსამბლი. ვოლგაზე დიდი გამარჯვების 40 წლისთავის წინ მემორიალის ჯარისაკცური დიდების დარბაზში დაიწყო ს. ოკარი წიგნის — ხსოვნის წიგნის ახალი, ოცდამეხვედმეტე ტომი. უზარმაზარი წითელი ტომების ყველა ფურცელზე პლანეტის ყველა ენაზე წარწერილია მადლობის სიტყვები ემრების პატივსაცემად, რომლებმაც ფაშიზმთან ბრძოლებში დაიცვეს მთელი კაცობრიობის თავისუფლება, მშვიდობა და მომავალი.

უწყვეტად მოედინება ადამიანთა ნაკადი ლეგენდარული ყორღანისაკენ. მისი საფეხურებით ყოველდღე ადიან ისინი, რათა პატივი სცენ 25 ათასზე მეტი ემრის ხსოვნას.

ყორღანის მწვერვალიდან კი მოჩანს ფერფლიდან აღმდგარი, ერთიორად გაზრდილი და კიდევ უფრო დამშვენებული ემრი ქალაქი, რომლის შრომითი წარმატებანი ღირსეულად აგრძელებენ ვოლგოგრადელთა მხედრულ დიდებას. მხეველ-მთესველები ჯარგად იენინენ ვოლგოგრადულ ტრაქტორიეს — მენავთობენი — საბურღ დანადგარებს. განთქმულია ვოლგოგრადული ფოლადი, ბეტონი, ასპარტერა ნავთობსარეწებისათვის და სხვა პროდუქცია.

სტუმართმოყვარეულად უღებს კარს ქალაქი თავის სტუმრებს. სამხრეთში ეს არის პირველი. ჩვენი დიდი ომის შემდგომ მშენებლობა — ვოლგა-დონის ვ. ი. ლენინის სახელობის არხი, ჩრდილოეთში — ეკრობაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის რაბეზი, რომლის ენერგია ერთვის სისტემა „მშვიდობის“. ეს სიტყვა ვოლგის ციხე-სიმაგრის სიმბოლო გახდა.

გერბში ჩაწნული თავთავი

სტავროპოლელი მიწათმოქმედნი სახნავი სავარგულებიდან ყოველ წელიწადს იღებენ მძიმე, ოქროსფერ თავთავებს, სწორედ ისეთს, როგორიც რუსეთის გერბშია ჩაწნული.

სტავროპოლის მხარეში ბეკერი მემანდვრეა, რომელთა ოსტატობაში თავმოყრილია რუსეთის მხეველ-მთესველობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ეს არ იენობს ინატოელთა მიღწევებს, რომელთა მაგალითისამებრ ქვეყნაში ფართოდ გავრცელდა ტექნიკის გამოყენების კომპლექსური მეთოდი. მაგრამ ასეთი სახელგანთქმული მეზობლების გვერდით მოსავლის სიმყარით შესამჩნევად გამოირჩევიან პეტროსკის რაიონის მიწათმოქმედნი.

პეტროსკის რაიონის ველებზე არც ნაკადულია, არც ტბაა. ამავე დროს უწყლობა აძლიერებს ნაადრეკ სამრეკეოულ ხორშაკს. წელს მხეველ-მთესველებს არანაკლები სახრუნავი გაუჩინა გაკვანძულებულმა კოკისპირულმა წვიმებმა, ეუცარმა ქარმა, ხშირმა სეტყვამ. უკვე მას შემდეგ, რაც ხორშაკი დათავთავიანდა, სტეპიამ მოსავალი მთლიანად გაანადგურა 7 ათას ჰექტარზე, ერთი შეხედვით, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო შექმნილი ვითარებაში ბეის წინ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მაგრამ მიწათმოქმედნი არ შემდრკალნ. — იპატოველთა მეთოდით კომბაინები გავაერთიანეთ დიდ მოსავლის ასაღებ — სატრანსპორტო კომპლექსებად,— თქვა მეის ოსტატთა რაიონული შეჯიბრების გამარჯვებულმა ა. ჩირკინმა. — მნიშვნელოვნად შეკამეიდოდეთ ლეწვის გრიფიკი და მოლიანად გამოვრიცხეთ დანარჩენ ფართობზე მოსავლის დანაკარგები.

ნ. სტიპაჭკინი,
(საკდესის კორ.).

გაზსადენი: დაჩქარება მთელ ტრასაზე

ურენგოი პომარი — უდგეროდის გაზის მაგისტრალის ობების შესახებ დოკუმენტური კინოლენტის პირველი კადრების თანაავტორები გახდნენ იმ კომპლექსური ბრიგადის სპეციალისტები, რომელსაც ი. უსენკო ხელმძღვანელობს. გამოცდილმა მშენებელმა შეძლო არა მარტო ზუსტად გაეწყვიტინა ძალები

კემეროვოს ოლქი. დასავლეთ ციმბირის ქარხანა დიდი მეტალურგიული ბაზაა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში. ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნიკითა და ელექტრონიკით.

სურათზე: დასავლეთ ციმბირის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პირველი სახარძიდე ღუმელის უფროსი მეკურე, კომუნისტი გ. კურტუკოვი. მიმდინარე წლის დამდეგიდან მებრძმედეთა კოლექტივმა, სადაც იგი შრომობს, 100 ათას ტონაზე მეტი ზედეგმითი თუჯი გამოადნო. დამკვრელური შრომისათვის გ. კურტუკოვი დაჯილდოებულია მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენით. ქარხნის ახალგაზრდა მეტალურგთა შორის იგი პროფესიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

ა. კუზნიარინის ფოტო
(საკდესის ფოტოკორონიკა).

თანასწორთა შორის თანასწორი

განაზომება ხალხის სიყვარული მისდამი? ამავე სიტყვით — დ'ბი!

ფეხით და მოტორიანი ნავით, სამდინარო ლაინერებითა და ავტომობილებით, „აეროფლოტის“ ფრთებით საკდესის კორესპონდენტებმა გაიარეს რუსეთის „მთავარ ქუჩაზე“, ესტაფეტასავით გადასცემდნენ ისინი ერთმანეთს რეპორტიორის ბლოკნოტს. მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს — ამ ბლოკნოტებიდან.

ჩქეფს წყარო სელიგერთან

კალინინი. კალინინის ოლქის ჩრდილოეთით, სელიგერის ტბის მახლობლად, არის პატარა სოფელი ვოლგო-ვერხოვიე. მას ასე შემოხეეფენი როდი ეწოდა. აქედან იღებს სათავეს დიდი მდინარე.

...ეი ძელური სახლი. ჭა პირდაპირ მის ხის იატაკშია ამოღებული. თუ ჯაში ჩავიხედავთ, და ვინახავთ, როგორ მორეკეს წყარო. ასე იწყება ვოლგა. აქედან ეს მეტრზე მისი გადაბიჯებაც კი შეიძლება. რამდენიმე დიდი და პატარა ტბის გავლის შემდეგ კი, მდინარე სელის ღელედან ჯადარა სელიგერის წყალს რომ მიიღებს, იგი იმ მდინარედ იქცევა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ.

კალინინი პირველი ნავსადგურია მდინარეზე, იგი ზემო ვოლგის წელზე უდიდესი სამრეწველო ცენტრიც არის. აქ უშვებენ რსფს რესპუბლიკაში წარმოებული სამგზისტრალო სამგზავრო ვაგონების 89 პროცენტს, ყოველ მეთე ელსკავატორს.

„ოქროს ბეჭდის“ მარგალიტი

იაროსლავლი. ვოლგის ნაპირას ალმართულ იაროსლავლში ყველაფერი რუსული სულით არის გაღეფნილი. „ოქროს ბეჭდის“ მარგალიტად ბრწყინავს მისი მსოფლიოში სახელგანთქმული ძეგლების გუმბათები.

ადით ფართო მწვანე ბულვარით ქალაქში და თვით ათასი წლის ისტორია ქვის ზღაპრებასა და ფრესკული ლეგენდების ენაზე გიამბობთ რუსეთის კულტურის მძლავრი სათავეების, მისი მატიანის გმირული ფურცლების ამბავს.

მიუდგომელ ციხესიმაგრედ მოჩანს მაცხოვრის მონასტრის შენობათა თეირი ქვის მასივი, ზეწვნსაცავი, რომელშაც შემოგვინახა ფასდაუდებელი „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“.

სმოლენი — ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შტაბი.
ნ. ნაუმენკოვის ფოტო.
(საკდესის ფოტოკორონიკა).

ხულ უწრო მატულობს სიგრძეები ბაიკალ-ამურის მაგისტრალის რკინიგზის ხაზი. გასული წლები მშენებლობა კოლექტივების დავალებების წლები იყო. დღეს „მთავარხამმშენის“ ობიექტებზე მუშაობს მშენებლობის 185 ქვეგანაყოფი, 17 ტრესტი და სამმართველო. მეთერმეტე ხუთწლედის პირველი წელი წარმატებით დაიწყო: გენერალური ოკარის ნახევარი წლის გეგმა „მთავარხამმშენმა“ 104 პროცენტით შესრულა.

ბამის მშენებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შესრულონ XXVI ყრილობის დავალება: მიმდინარე ხუთწლედში გაბნინან მატარებლების მოძრაობა მთელ ტრასაზე.

ახლა განსაკუთრებული უურადღება ეთმობა ცენტრალურ უბანს. ფოლადის ხაზი ტანდედან ჩარის მიმართულებით გრძელდება.

* * *

სურათზე: ვ. შეინკოვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. სამუშაოთა მწარმოებელს ვლადიმერ იუდინს (ცენტრში) ხელში უჭირავს სიმბოლური გასაღები, რომლითაც უნდა გაიღოს მატარებლების გამეორი მოძრაობა ბამზე.

ვ. მეფდეფდეფის ფოტო
(საკდესის ფოტოკორონიკა).



ვლადივოსტოკი — ნახევარმილიონიანი ქალაქი — რუსეთის საზღვაო ბიშკარია წყნარ ოკეანეში. ნავსადგურთან მრავალი გემი უშვებს ღუზას.

ვლადივოსტოკში მთავრდება ჩვენი საშობლოს მიწის კილომეტრები და იწყება ცისფერი საზღვაო მილები. ალბათ, ჩვენს თვალწინდელ ქვეყანაში ვერ მონახავ სხვა ასეთ ქალაქს, სადაც საზღვაო და რკინიგზის ვაგზლები ისე ახლოს იყოს ერთმანეთთან, როგორც ვლადივოსტოკში.

* * *

სურათზე: ვლადივოსტოკის საბაგრო ნავსადგურეს ნავმისადგომთან.

ს. კოზლოვის ფოტო
(საკდესის ფოტოკორონიკა).



ვოლოგდის ოლქში ვითარდება მაქმანების ჭედოვის ძველებური ხელოვნება (სურათზე). **ათი ათასამდე მემაქმანე მუშაობს გაერთიანება „სანეიანში“. მათი ნახელავით ყოველთვის აღფრთოვანებული ირნენ დამთვალიერებლები საბჭოთა და საზღვარგარეთელთ გამოფენებზე.**

ს. მეგალეიცას ფოტო
(საკდესის ფოტოკორონიკა).

ყოველდღიურად ფედერაციაში:

— **აწარმოებენ 2,2 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას, 1,5 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობსა და გაზის კონდენსატს, 788 მილიონ კუბურ მეტრ გაზს, დაახლოებით 700 ტრაქტორს, 12 ათას ტელევიზორს;**

— **აცხობენ 54,5 ათას ტონა პურსა და პურ-ფუნთუშეულს რუსეთის ყანის სანაქებო მარცვლეულისაგან;**

— **მაბარებლებს გადაუვავთ 7 მილიონზე მეტი მგზავრი, გადაეკვეთ 5,6 მილიონი ტონა ტვირთი, თვითმფრინავებს გადაეფავთ 190 ათასი კაცი.**

— **იბადება ექვსი ათასი ბავშვი;**

— **ფორდება ოთხი ათასი ქორწინება;**

— **ახალმოსახლეობას იხდის 15 ათასზე მეტი კაცი;**

— **იყიდება 446 მილიონი მანეთის საქონელი.**

— **ემსახურება მცხოვრებთ 121 ათასი საყოფაცხოვრებო საწარმო;**

— **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პუნქტზე დადებს 580 ათასი ექიმი;**

— **დამსვენებლებს იღებს 1200-ზე მეტ სანატორიუმში, 600-ზე მეტი დასასვენებელი სახლი და პანსიონატი;**

— **მერხებს მიუსახდება 20 მილიონზე მეტი მოზარეი;**

— **უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში მიდის სამ მილიონზე მეტი სტუდენტი;**

— **იღება დაახლოებით 78 ათასი კინოს, 32 თეატრის, 770 მუზეუმის კარი;**

— **იგზავნება დაახლოებით 87 მილიონი წერილი, გაზეთი, ჟურნალი, ამანათი და დეპეშა. (საკდესი).**

სადაც სამშობლოს დილა იწყება

როდესაც კრემლის კურანტები შუაღამისას თორმეტჯერ ჩამოჰკრავენ, აქ უკვე დილაა და საოკეანეო ხომალდის საყვირის ეკო ზღვის აკოჩრილ ტალღებთან ერთად კლდოვან ნაპირებს ეხეთქება. გემების ქარავანი ჩამომდგარა ვლადივოსტოკის ნავსადგურში, მაღლივი ამწე-ონკანები დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს შემბოა, ქალაქებსა და და დაბებში ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან, ფაბრიკებსა და ქარხნებში დაზგებთან დგება დილა ცვლა, ტურისტული ჯგუფები, რომლებიც ამ დილით ვლადივოსტოკში ჩამოფრინდნენ, ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას ვაგზლის მოედნთან იწყებენ...

გრანდიოსა თუ მარმარილოდ ფები, მონუმენტები, მემორიალური ანსამბლები მოგვითხრობენ რევოლუციური ზღვისპირეთის გმირულ ისტორიაზე, 1922 წლის ოქტობრის მფლვარე დღეებზე, როცა 25 ოქტომბერს, დღის 4 საათზე სახალხო-რევოლუციური არმია და ზღვისპირეთის პარტიზანთა რაზმები გააფორებული ბრძოლების შემდეგ ვლადივოსტოკში შემოვიდნენ. ასე დასრულდა უცხოელ ინტერვენტთა პარაპში შორეულ აღმოსავლეთში.

თუ რა მძიმე, გაპარტახებული მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ იაპონელ-თეთრგვარდიელი ინტერვენტებისაგან, კარგად ჩანს, თუნდაც კამჩატკის მაგალითით: 1923 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, კამჩატკის პეტროპავლოვსკში მოეწყო აღწერა. დაითვალა სულ 260 შენობა, აქედან 177 საცხოვრებელი ბინა. წერა-კითხვა მთელი მოსახლეობის მხოლოდ ხუთმა პროცენტმა თუ იცოდა.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ალბათ ძნელია მეორე ისეთი რეგიონის დასახელება, რომელსაც უკანასკნელ ოცწლეულში ასე ეცვალოს სახე. კამჩატკა დღეს — ეს არის 400 ათასი კაცი, სამი ქალაქი, 13 რაიონული ცენტრი, 67 დაბა და სოფელი, ხუთი ათასი კილომეტრი კეთილმოწყობილი გზა, 66 მსგავი საწარმო, ათობით საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტი, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი და მრავალი სხვა.

ასე იცვლის სახეს შორეული აღმოსავლეთის ოლქები და მხარეები, ქალაქები და დაბები.

ამ მხარეს თავისი სახელწოდება ზღვისაგან მიიღო. ზღვა განსაზღვრავს კიდევ მისი ცხოვრების ხასიათს. ვლადივოსტოკი ჩვენი ქვეყნის საზღვაო ჭიშკარია წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში. აქ არის ბაზრიტული მძლავრი სანაოსნოები, რომელთა ხომალდებმა უკვე გაკვალეს გზა მსოფლიოს ამობით ნავსადგურისაკენ.

ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის აქ, სპეციფიკურ, შორეული აღმოსავლეთის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მხარის სიშორე ქვეყნის ტერიტორიაზედ მსგავი სამრეწველო და კულტურული ცენტრებიდან, მოსახლეობის დამკვიდრების ცხოვრებისეული აუცილებლობა — ყველაფერი ეს გასაზღვრავს საწარმოო და სოციალურ სფეროში მთელი რიგი დარგების დაჩქარებულ მიზნობრივ განვითარებას.

— ეს უწონარესად, — ამბობს სკკპ სამხარეო კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამაგებელი ალეშინი ამრამის ძე ვოლინცევი, — თვეზის მრეწველობას ეხება. შორეული აღმოსავლეთი თევზეულის ძირითადი მომწოდებელია, ზღვისპირეთი კი ამ პროდუქტის საერთო რაოდენობის ნახევარს იძლევა, ანუ მთელი საერთოსახელმწიფო მოცულობის მეხუთედს.

კიდევ უფრო მაღალი მიღნებია დასახული ახალ ხუთწლედში. 1981 წელს დამზადდა 601 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. თევზისა და ზღვის პროდუქტების რეწვა-მოპოვებამ მილიონ 325 ათას ტონას მიაღწია. ასეთია მხარის სახეობა წელილი ქვეყნის სასურსათო ბალანსში...

* * *

— **ალეშინი** გვეპატიჟებიან. თავისუფალი დრო თუ გაქვთ, წავიდეთ, — მითხრა ბორის ივანეს ძე ტროფიმენკომ, საწარმოო გაერთიანება „ზღვისპირეთთევზმრეწვის“ გენერალურმა დირექტორმა და ამით, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვა წლების მანძილზე შალვა ნადიბაიძესთან სიახლოვეს, ერთობლივ მუშაობას, რომელიც, როგორც ბორის ივანეს ძემ თქვა, ათობით წლებს ითვლის.

ზღვისპირეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ამ კაცის სახელი ეშეშარტად დიდების შარავანდედით ირის მოსილი, სამამული თევზის მრეწველობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, ორგზის ლენინის ორდენოსანი, შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის თავკაცის შალვა ნადიბაიძის სახელს აბარებს დღეს მცურავი ბაზა, სეინერული ფლოტის ბაზა და ქალაქი ვლადივოსტოკში.

ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ნ. მ. პეგოვი, რომელიც ომის წლებში პარტიის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, თავის მოგონებებს წიგნში „შორეული ახლოელი“ წერს:

„... ბოლშევიკური მგზნებარებრ, მაღალპროფესიული ცოდნისა და საქმიანობის გარდა შალვა გიორგის ძე ფლობდა ყველაზე ძნელ ხელოვნებას—ადამიანებთან მუშაობის ხელოვნებას. იგი იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, სასტიკი, მაგრამ არასეზით არ შეურიაზყოფდა ადამიანის ღირსებებს.

... იგი იყო დიდებული სამეურნეო მუშაკი, ნიჭიერი ორგანიზატორი, ძლიერი პიროვნება, მან უდიდესი როლი შეასრულა შორეულ აღმოსავლეთში მძლავრი თევზის მრეწველობის შექმნაში...“.

ასეთად დარჩა შალვა ნადიბაიძე ზღვისპირეთის მშრომელთა ხსოვნაში და ალარ გვიკვირს, როცა დღეს იქმენი კაცი ბაცნობისას გეკითხება: ნადიბაიძის გვარისა ხარო, ესე იგი საქართველოდან, კაკეტიიდან ჩამოხვედიო?!

ზღვისპირეთი დღეს შორეული აღმოსავლეთის ყველაზე უფრო განვითარებული და მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. და თუმცა მას მთელი შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის 5,3 პროცენტი უკავია, მხარე აწარმოებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის 30 პროცენტს, აქედან 50 პროცენტზე მეტ ცენტნერს, თანამედროვე მოწყობილობათა 93 პროცენტს, მანქანათმშენებლობის პროდუქციის მესამედს.

ზღვისპირელები ამაყობენ იმით, რომ მათი წვლილი საერთო-საკავშირო შრომის განაწილებაში ყოველწლიურად იზრდება, აქ დამზადებული მრეწველობის პროდუქცია ქვეყნის ყველა რეგიონს ეგზავნება.

საქართველო, მაგალითად, ზღვისპირეთიდან იღებს ლითონსაჭრელ დაგზებსა და ინსტრუმენტებს, უსურიისკის მანქანათმშენებელი ქარხანა გვიგზავნის ხის დასამუშავებელ დაზგებს, მხარის სხვა სამრეწველო საწარმოები — სახამალდო არმატურას, ხე-ტყეს, ქაღალდს და, რა თქმა უნდა, თევზეულის დიდ ასორტიმენტს.

ზღვისპირეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაში თვალსაჩინოა ჩვენი რესპუბლიკის წვლილიც. ეს არის რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მილები, თბილისის ქარხნების ლითონსაჭრელი ინსტრუმენტები, ელექტროძრავები, ქუთაისური საღებავები, ცხინვალის ვიბრომანქანები, გორის ბამბის ქსოვილები, ცხაკაიური ხალიჩები, ჩვენი მიწის ბარაქა — ხილი, ციტრუსები, ჩაი...

— სისხამი დილაა. გაზეთ „პრავდის“ გამომცემლობის ზღვისპირეთის განყოფილების გამგესთან მიხვილ იზბენკოსთან ერთად ქალაქის სამხრეთით „ბოლშოი ულის“ კონცხზე ვართ. ეს ყველაზე უკიდურესი სახმელეთო წერტილია აღმოსავლეთში. აქ თავდება მატერიკი. უფრო ზუსტად — აქედან იწყება ჩვენი სამშობლო.

გურამ ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ ექსპრეს ინფორმაცია საქართველოს უფროსად დანიშნა კოდალკოვნიკი გრიგოლ გრიგოლის ძე ფალავანდიშვილი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტომობილეთეფილების სამმართველოს უფროსად დანიშნა

ეგი დაიბადა 1938 წელს რუსთავის რაიონში, გამოცდილი ჩეკისტის ოჯახში. თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითს საქმიანობას შეუდგა „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის სისტემაში შუშად. 1959 წლიდან კი შინაგან საქმეთა ორგანოებში. ამასთან ერთად სწავლას აგრძელებს თბილისის სამხედროენერგეტიკის ინსტიტუტში, რომელიც 1965 წელს დამთავრა. სამხედრო დროს მუშობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში გამოჩინებული, უფროს გამომძიებლად, განყოფილების უფროსად.

1976 წელს იგი ჩაირიცხა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რომელიც 1978 წელს დამთავრა. იმავე წელს მას აანგარიშებენ საბჭოთა ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად.

ბ. შალამბერიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1964 წლიდან.

რედაქციისაგან: რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონასპექციის სამმართველოს უფროსად ბ. ბ. შალამბერიძის დანიშვნას რომ აუწყებს საზოგადოებრიობას, რედაქცია იერარქიული ქრონიკით ჭკთხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ სურს სრულიად კონკრეტულ ვითარებაში ხაზი გაუსვას მთელ რიგ აუცილებლობათა ლოგიკურ კვანძს.

ჯერ განვიხილოთ როგორი კონკრეტული ვითარება გვაქვს საღღეისოდ.

შარშან რესპუბლიკაში მოხდა 3071 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 897 და დაშავდა 3826 კაცი. წელსაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა: თერთმეტ თვეში მოხდა 2660 ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელშიც 734 კაცი იმსხვერპლა და 3274-მა კი სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

რა პასუხი უნდა მივცეთ იმ ოჯახებს, რომლებმაც ზელს და შარშან 1631 ახლობელი ადამიანი დაკარგეს, რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, ქვეყნის ათეული და მომავალი რომ იყო, ანდა უფროსად რამდენი საზღვეოვანი ადამიანი და მამულშვილი გახდა ავტოკატასტროფის მსხვერპლი?

ავტოავარიებთან ბრძოლის პროფილაქტიკის საქმეში ჩვენი რესპუბლიკა სერიოზულად ჩამორჩება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, ზოგიერთი მაჩვენებლებით უკანასკნელი ადგილიც კი უჭავია.

იქ, სადაც საგზაო დისციპლინა და საგზაო მოძრაობის სწორი ორგანიზაციაა, ტექნიკურად გამართული ტრანსპორტი და მცირედნე პრინციპული ინსპექციის მუშაკები ჰყავთ, ავარიათა რიცხვი მინიმუმამდეა შემცირებული.

ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მძღოლთა დისციპლინა სასურველ დონეს ბევრად ჩამორჩება. მარტო წელიწადს 11 თვის განმავლობაში 1889 მოვარული მძღოლი დაკავებულ იქნა, რომ არაფერი ეთქვათ მოძრაობის წესების სხვა დარღვევებზე. როგორც ჩანს, მძღოლთა დისციპლინის განმტკიცებისათვის მარტო დასჯა არ კმარა, შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა ღონისძიებათა ფართო კომპლექსი.

ისიც ამგვარად ჩანს, რომ დარღვევე მძღოლთა მიმართ დღემდე არსებული სასჯელი ზომები ნაძდეულად უსუსური და ლმობიერია, რადგან ეკრავეთარ ზეგავლენას ვერ ახდენს ულისციპლინო მძღოლებზე. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია გაიზარდოს ჯარიმების რაოდენობა იმ ანგარიშით, რომ მატერიალურად დაეტყოს ულისციპლინო მძღოლების ოჯახურ ბიუჯეტს. თუკი მატერიალური და მორალური სტიმულირება მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაობაში, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მაკარი მატერიალური სანქციები (გაზრდილი ჯარიმები) მძღოლთა უდისციპლინობის აღსაკვეთად? ამის შესახებ სამართლიანად იყო აღნიშნული ჯერ კიდევ ჩვენი გაზეთის 1979 წლის 10 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები. ისინი ავტორიტეტულად მოითხოვდნენ დაწესებულიყო ჯარიმის უფრო მაღალი ტარიფი, მაგრამ რატომღაც ამ წინადადების პრაქტიკულ განხორციელებას ბედი არ ეწერა.

რესპუბლიკის ავტენტალურ ტრასებზე საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორს ჯიხურის ირგვლივ მოტრიალეს უფრო ხშირად ნახავთ, ვიდრე იქ, სადაც საჭიროა ავტოინსპექტორის ფხიზელი თვალი. ნაკლებად არის გამოყენებული მოტიპატრულერება, დაბალია საპატრულო ვერტმფრინავის მარკი მოქმედების კოეფიციენტი, მაშინ როცა ვერტმფრინავის დაქირავებაში გადახდილი თანხა საკმაოდ სოლიდურია.

ცენტრალური გზებისპირას ხშირად შეხვდებით გამაფრთხილებელ აბრებს „მოძრაობა მოწმდება რადარებით“. რისთვის სჭირდება ინსპექციის სამსახურს ეს ფორმალიზმი? უკვე ყველა მძღოლმა იცის, რომ არავითარი რადარი არ აკონტროლებს გზაზე მოძრაობას, რადგან ძალიან ცოტაა შემთხვევა, რომ ულისციპლინო მძღოლი რადარების საშუალებით დაეკვეთნინო. ფსიქოლოგიურად ასეთი ფორმალიზმი მძღოლს უდისციპლინობისაკენ უბიძგებს: რაც არის, იმასაც ადვილად ვაღწევთ თავს და რაც არ არის, იმან რა უნდა დამაკლოს.

ვეცნობით მეგობრების ხელოვნებას

ბაკურიანი 3. კინგინეიანი სახელოვნების აკადემიური თეატრის მსახიობი ალექსანდრ თბილისელი:

ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ი. იარვეტს. მსახიობს ფილმ „დათა თუთაშხიაში“ გრაფ სეგედის სახის შექმნისათვის ეს ტალენტ მსახიობს ქართველ კოლეგებთან ერთად მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. და აი, თბილისელ მაყურებლებს შეუსაძლებლობა მიეცათ ამ დღეებში ერთხელ ერთხელ შეხვდნენ ი. იარვეტის სცენურ ხელოვნებას, რომელიც ამშობლიური თეატრის — ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის აკადემიური თეატრის დასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში.

საბჭოთის დიდ იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრმა „ეგზარბოსმა“ თბილისში მოიწვია ეს სახელგანოქმული კოლექტივი.

16 დეკემბრის ესტონელი დრამატურგის ა. კიტაბერგის სპექტაკლით „ქარბუქი“ ტალინელმა მსახიობებმა კ. მარკანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე ბაისეს ესტონეთის 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და ეხება დიდ სოციალურ პრობლემებს. სპექტაკლის დამდგმელმა მ. მიკიციერმა შეძლო შეეტანა ნაწარმოებში ინტიმური ელფერადობის ჩაკეთი, შთამბეჭდავი სპექტაკლი, რომელშიც დამდგმელმა და მსახიობებმა ერთიანი პარმონიული ანსამბლი წარმოგვიდგინეს.

სპექტაკლის დაწყების წინ საქართველოს თეატრალური საზოგადოების, ყველა თბილისელი მაყურებლის სახელით ესტონელის სცენის ოსტატებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სახალხო არტისტი დ. მშვიდლიძე.

სასპასუხო სიტყვაში ტალინის თეატრის დირექტორმა ვ. მარკუსმა მადლობა გადაუხადა საქართველოს სასცენო ხელოვნების მოყვარულთა გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ თბილისში ახლანდელი გასტროლები, რომლებიც მიმდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს იუბილეს წინ, შემოქმედებითი ანგარიშია მეგობრების წინაშე.

ტალინელების პირველმა სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

სტუმრების საგასტროლო ფიშაში მაყურებელს იწვევს ინგლისელი დრამატურგის ედვარდ ბონდის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ სპექტაკლ „ბინგოზე“. ამ დადგმაში, რომელიც აგრეთვე ეკუთვნის მ. მოკიციერს, მაყურებელი მთავარ როლში ნახავს ი. იარვეტს.

21 დეკემბერს კი ა. ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გამართება სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ი. იარვეტის შემოქმედებითი საღამო.

(საქინფორმი).

წიგნის თარო

გამოცდილება „ნაკადულში“ ახლახან პატარა მკითხველებს შესთავაზა პოეტ გიორგი წერეთლის ლექსების კრებული „თოხზე ნაწერი ლექსები“ (რედაქტორი — მ. არაბული, მხატვარი — ა. თევზაძე). წიგნის ანოტაციაში ავტორი წერს:

„ჩემო პატარა მეგობრებო! მეც თქვენსავით მეოცნებე ბიჭი ვიყავი, ეოფნებიმდი: სამწყესენი, სათიმნი, ტყეში, ვენაში, წისქვილში თუ მდინარეში.

ყველაზე კარგი საოცნებო ადგილი ყანაში იყო. ხშირად მარტოს მიმდებოდა სამინდის მარგალა და თოხნა. ომი მძვინვარებდა, სოფელი ქალებისა და ბავშვებ-ს ანაბარა იყო დარჩენილი. ოცნებაში ხელს არავინ მიშლიდა, ნაოცნებობარს პატარა ლექსებად ვაქცევდი, ვწერდი თოხის ბირზე ცარცით, ვწერდი და ვშლიდი... ამაში ქალალი არ იშოვებოდა, ჩემი საწერი ფიფქეული თოხის ბირი იყო. ოღონ ქალალი ვიშოვე, თოხზე ნაწერი ლექსები ქალალდზე გადავიტანე და წვიმებადაც იქცნენ. ამ კრებულში შეეტანენ ზოგიერთი მათგანი და „თოხზე ნაწერი ლექსებიც“ ამჟამ დავარქვი.

„ეს დღე“ — ასე ეწოდება ზოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ფრიდონ ხალვაშის წიგნს, რომელიც ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ დაბეჭდა (რედაქტორი — ე. ქაროსანიძე, მხატვარი — სპ. ციხაძე). წიგნში პოეტის ახალი, ძირითადად 1979-1981 წლებში შექმნილი ლექსებია დაბეჭდილი.

კრებული თემატურად მრავალფეროვანია — სამშობლოს გმირული წარსული, თანამედროვეობა და თანამედროვეობა სახეები, ძირითადად ეს თემები განსაზღვრავს კრებულის საერთო ხასიათს. აქვეა მეხეური ციკლი, რომელიც „შედის ლექსები „ბეერისმთქმელი ძმენ“... „გოდერძიდან ჯალქაულამდე“, „ოშორი“, „ნატვრის ჯიდეხა“, „ოდა ოთარი“, რომელშიც პოეტმა თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით შექმნა, იმ იმედით, რომ

„მე ვიცი ანთებს დანაკრულს
ჯაპანმე, ჯაპსაძე, ხმალაძე,
ამ მიწის ხელებთ
დავარსებნილს,
გაკვალავს და გაალამაზებს“.

ეს აკორის მაგალითთანა სოფლებიდან მეახეთში გადასახლებულთ შეეხება და პოეტს ეუბარა, რომ „აკორი მეახეთში გადადდა“ და „შუბლიერ მიწას ახალი პატრონი გაეჩნდა.

ლენინგრადი

ДЕДАЕВИЧЕВ ЗЕРКАЛО СОВРЕМЕННОСТИ

საკლასისა და ახალი ამბების საავგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

ფაქტები მოვლენები

18 დეკემბერი

საბჭოთა კავშირის დღეები მადაგასკარზე

ანტანანარივუ. მადაგასკარის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებით ჩაიარა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის დღეებმა. ჩვენს მრავალეროვან ქვეყანას ამ დღეებზე წარმოადგენენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმომგზავნილები — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დასახელებულ ანსამბლის მსახიობთა ჯგუფი. მათ გამოსცემს ანტანანარივოსა და ტეამასინაზი დიდი წარმატება ხვდა წილად. მაღალგანეულნს შესაძლებლობა მიეცათ გაეწიმოდნენ საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სხვადასხვა დარგში. ეს მიღწევები ასახული იყო ფოტოგამოფენაზე, რომელიც მოეწყო საბჭოთა კავშირ-მადაგასკიის მეგობრობის სახლში. მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი კინოთეატრის ეკრანზე კვირეულის მანძილზე ნაჩვენები იყო ქართველ რეჟისორთა ფილმები.

„მადაგასკარ-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოების მოწვეით საბჭოთა კავშირის დღეების ჩატარების ფარგლებში აქ იმყოფებოდა „სსრ კავშირ-მადაგასკარის“ მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია მისი თავმჯდომარის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ი. ვ. რომანენკოოსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ტ. ბ. ლეონიძის მეთაურობით. დელეგაციის მიღო მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიდიე რაციორაკამ. დელეგაციის შეხვედრები გაეწმართეს ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და რეკოლეკციური ხელოვნების, თავდაცვის სამინისტროებში, იგი შეხვედა მადაგასკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

შეხვედრების დროს განიხილეს „სსრ კავშირ-მადაგასკარის“ და „მადაგასკარ-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოებათა თანამშრომლობისა და საბჭოთა და მალაგასიელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები.

ეძღვნება სახელოვან იუბილეს

● **ჩეხოსლოვაკია**

პრაღა. პრაღის კულტურის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები. მოხსენებაც გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რ. შტროუგალმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა საბჭოთა ხალხს გამოუგზავნეს მილოცვა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს მიეძღვნა ავრეთვე ბრატისლავაში გამართული საზეიმო კრება. ამ კრებაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. ცოლოტა, რომელმაც აღნიშნა სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, მისი წვლილი ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

● **გდრ**

ბერლინი. აქ გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ნაზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს. სხდომაზე მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, განაცხადა მან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი სსრ კავშირის სახელოვან იუბილეს აღნიშნავენ როგორც საკუთარ დიდ დღესასწაულს.

ამ დღეებში, თქვა დასასრულ მოძსხენებელმა, გახვიდოდა უდიდეს სიამაყეს იმის გამო, რომ ჩვენი ხალხები ასეთი ახლოცელი მეგობრები, მოკავშირეები და თანამებრძოლები არიან. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკა მოკავშირეთა სახელით მინდა ძმური სახმლობა ალმაცერ ... ...